ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის
ოქმი N8

დაბა ქედა 25 სექტემბერი, 2024 წელი.

სხდომა დაიწყო 11:00 სთ-ზე
სხდომა დამთავრდა 11:15 სთ-ზე

სხდომას თავმჯდომარეობდა ოთარ ხარაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:
არჩილ გორგილაძე - კომისიის წევრი;
ლევან ვერძაძე - კომისიის წევრი;
მერაბ ნაკაშიძე - კომისიის წევრი;
მარინა ბარამიძე - კომისიის წევრი;
ჯემალ დავითაძე - კომისიის წევრი.

სხდომას არ ესწრებოდნენ
მინდია არძენაძე- კომისიის წევრი;
შორენა კარანაძე - კომისიის წევრი.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

საკრებულოს აპარატის უფროსი -მუხრან სალაძე;

საკრებულოს კომისიებთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი - ციური ზაქარაძე;

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი კომისიებთან ურთიერთობის საკითხებში - ნანა ბერიძე.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის წევრთა
სარეგისტრაციო ფურცელი

25.09.2024 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	ოთარ ხარაძე	კომისიის თავმჯდომარე	
2	ლევან ვერძაძე	კომისიის წევრი	
3	არჩილ გორგილაძე	კომისიის წევრი	
4	მარინა ბარამიძე	კომისიის წევრი	
5	მერაბ ნაკაშიძე	კომისიის წევრი	
6	ჯემალ დავითაძე	კომისიის წევრი	
7	შორენა კარანაძე	კომისიის წევრი	
8	მინდია არძენაძე	კომისიის წევრი	

სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგი ჩამოაყალიბა შემდეგი სახით.

დღის წესრიგი:

1. ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის 2024 წლის მეოთხე კვარტლის სამუშაო გეგმა

მომხსენებელი: სოციალურ საკითხთა კომისიის
თავმჯდომარე - ოთარი ხარაძე

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის 2024 წლის მეოთხე კვარტლის სამუშაო გეგმა შემდეგი სახით:

	განსახილველი საკითხები და გასატარებელი ღონისძიებები	**განხილვის თარიღი**	**საკითხის განხილვა კომისიის სხდომაზე**	**საკითხის განხილვა საკრებულოს სხდომაზე**	**პასუხისმგებელი პირი საკითხის მომზადებაზე**
1	სხვადასხვა კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებში აქტიური მონაწილეობის მიღება	პერიოდულად	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	კომისიის თავმჯდომარე
2	2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტის განხილვა და შესაბამისი დასკვნების მომზადება	ნოემბერი	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	კომისიის თავმჯდომარე
3	ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოსაგან ინიცირებული საკითხების განხილვა და შესაბამისი დასკვნების მომზადება	დეკემბერი	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	კომისიის თავმჯდომარე
4	ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის 2025 წლის პირველი კვარტალის სამუშაო გეგმა	დეკემბერი	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს ბიუროს სხდომაზე	კომისიის თავმჯდომარე

კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი კენჭისყრაზე დააყენა:
მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0

კომისიამ გადაწყვიტა:
დამტკიცებულ იქნას ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს მიერ სოციალურ საკითხთა კომისიის 2024 წლის მეოთხე კვარტლის სამუშაო გეგმა წარმოდგენილი სახით.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა 11:15 სთ-ზე დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე ოთარ ხარაძე

ოქმი შეადგინა:
საკრებულოს აპარატის პირველი
კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნანა ბერიძე
კომისიებთან ურთიერთობის საკითხებში